

აუდიტის ხარისხის კომიტეტის გადაწყვეტილება

აუდიტორების/აუდიტორული ფირმების ხარისხის კონტროლის სისტემის დიაგნოსტიკური ანგარიშის მომზადების წესში ცვლილებების დამტკიცების შესახებ

ქ. თბილისი

12 აგვისტო 2019 წ.

გამართა აუდიტის ხარისხის კომიტეტის წევრთა ელ.ფორმით გამოკითხვა. გამოკითხვა შედგა 2019 წლის 5-12. აგვისტომდე პერიოდში. გამოკითხვაში მონაწილეობდა კომიტეტის წევრები:

ხოროშვილი რუსლანი - თავმჯდომარე (იუაი); ცერცვაძე გიორგი (ცოდნისა); ანა კუსრაშვილი (იუაი); ვანო ჟუჟუნაშვილი (ბიდიო); ვახტანგ ცაბაძე (გრანტორნტონი); ბორის მეგრელიშვილი (ნექსია); ლევან პაპიაშვილი (შპს კრესტონ პაპიაშვილი); თამარ ნაცვლიშვილი (დელოიტი); ნოდარ ებანოიძე (ბაფი).

განსახილველი საკითხები

1. განმეორებითი დიაგნოსტიკური შემოწმების ჩატარების ვადების გადახედვა და ფასის დამტკიცება

კომიტეტის თავმჯდომარის მიერ კომიტეტის წევრებისათვის განსახილველად შეთავაზებული იყო წინადადება, რომ „აუდიტორების/აუდიტორული ფირმების ხარისხის კონტროლის სისტემის დიაგნოსტიკური ანგარიშის მომზადების წესში“ (შემდგომში „ანგარიშის მომზადების წესი“) შევიდეს ცვლილება და განმეორებითი შემოწმება ჩატარდეს წინა შემოწმებიდან არაუადრეს 1 წლისა. ამგვარი განმეორებითი დიაგნოსტიკური შემოწმების ფასი დადგინდეს როგორც 1,500 ლარი, თუ აღნიშნული შემოწმება ხორციელდება ქ. თბილისის ფარგლებში; ხოლო იმ შემთხვევაში, თუ შემოწმების ჩატარება საჭიროებს მივლინებით წასვლას საქართველოს სხვა ქალაქში, დიაგნოსტიკური შემოწმების ფასი დადგინდეს როგორც 1,750 ლარი. ამავდროულად განმეორებითი დიაგნოსტიკა იყოს ფასიანი წინა შემოწმებიდან 2 წლის განმავლობაში, ანუ პირველი შემოწმების თარიღიდან 3 წლის შემდგომ განმეორებითი დიაგნოსტიკა იყოს კვლავ უფასო აუდიტორის/აუდიტორული ფირმისათვის.

კომიტეტი წერილობით ინფორმაციას უგზავნის ბაფის ადმინისტრაციას ცალკეულ დიაგნოსტიკურ შემოწმებაზე მოწვეული ექსპერტის შესახებ (მისი საკონტაქტო მონაცემებით). აგრეთვე, ექსპერტის მიერ დიაგნოსტიკური ანგარიშის მომზადების სამუშაოების შესრულებაზე.

ანგარიშის მომზადების წესში დაკონკრეტდეს, რომ აღნიშნული ფასების შეცვლა მოხდება კომიტეტის გადაწყვეტილებით.

კომიტეტის წევრებმა გამოხატეს მოსაზრებები ამ საკითხთან დაკავშირებით.

კომიტეტის 9 წევრიდან წინადადებას მხარი დაუჭირა -6, თავი შეიკავა -2; წინააღმდეგი -1.

2. ხარისხის შემმოწმებლის მიერ დიაგნოსტიკური ანგარიშის მომზადების ანაზღაურება

კომიტეტის თავმჯდომარის მიერ კომიტეტის წევრებისათვის განსახილველად შეთავაზებული იყო წინადადება, რომ დიაგნოსტიკური ანგარიშის მომზადების ანაზღაურება დაევალოს ბაფს. ქ. თბილისის ფარგლებში ჩატარებული შემოწმების ანაზღაურება განისაზღვროს 750 ლარის ოდენობით, ხოლო ისეთი შემოწმების ანაზღაურება, რომელიც საჭიროებს მივლინებას საქართველოს სხვა ქალაქში განისაზღვროს 1,000 ლარის ოდენობით.

კომიტეტის წევრებმა გამოხატეს მოსაზრებები ამ საკითხთან დაკავშირებით.

კომიტეტის 9 წევრიდან წინადადებას მხარი დაუჭირა -7, თავი შეიკავა -2; წინააღმდეგი -0.

3. ხარისხის შემმოწმებლის მიერ დიაგნოსტიკური ანგარიშის მომზადების დროს შესამოწმებელი აუდიტორული ფირმის/აუდიტორის აუდიტორული გარიგებების სიის სისრულის შემოწმება


კომიტეტის წევრის, გ. ცერცვაძის მიერ კომიტეტის წევრებისათვის განსახილველად შეთავაზებული იყო წინადადება, რომ ანგარიშის მომზადების წესში გაიწეროს ხარისხის კონტროლის შემმოწმებლის ვალდებულებად აუდიტორული ფირმის/აუდიტორის შესამოწმებელი ფინანსური წლის აუდიტორული გარიგებების ისეთი სიის მოთხოვნა, რომელშიც მითითებული იქნება ყველა გარიგების ფასი. ხარისხის კონტროლის შემმოწმებელს დაევალოს სიაში მოცემული ჯამური თანხისა და ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის (შემდგომში „სარასი“) ვებ-გვერდზე ატვირთული ინფორმაციის დადარება და ამ გზით მოწოდებული სიის სისრულის შემოწმება. ხარისხის კონტროლის შემმოწმებელს დაევალოს აღნიშნული დადარების შედეგები აღწერილი იყოს დიაგნოსტიკურ ანგარიშში.

კომიტეტის წევრებმა გამოხატეს მოსაზრებები ამ საკითხთან დაკავშირებით.

კომიტეტის 9 წევრიდან წინადადებას მხარი დაუჭირა -7, თავი შეიკავა -2; წინააღმდეგი -0.

დაადგინეს:

1. დამტკიცდეს ცვლილება ანგარიშის მომზადების წესში ვადებთან და ფასთან დაკავშირებით. ცვლილების შეტანა დაევალოს ანა კუსრაშვილს.
2. დამტკიცდეს ხარისხის შემმოწმებლის ანაზღაურება წარმოდგენილი წინადადების მიხედვით.
3. დამტკიცდეს ანგარიშის მომზადების წესში ხარისხის შემმოწმებლის დამატებითი ვალდებულების შესახებ განხილული წინადადების მიხედვით. ცვლილების შეტანა დაევალოს ანა კუსრაშვილს.



კომიტეტის თავმჯდომარე - რ. ხოროშვილი